KA021759136849722

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-3963 15 / ივლისი / 2022 წ.

„ქალაქ წყალტუბოში, გურიელის ქუჩა N3-ში მდებარე 76621.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული N1-N17 შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 6 ივლისის N1/1-3730 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1/1-172 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ წყალტუბოში, გურიელის ქუჩა N3-ში მდებარე 76621.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული N1-N17 შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 6 ივლისის N1/1-3730 ბრძანებაში და ბრძანების მე–3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა არაუგვიანეს 2024 წლის 10 ივლისის ჩათვლით შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ა.ა) 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით - არანაკლებ 2 328 000 (ორი მილიონ სამას ოცდარვა ათასი) ლარის გადახდა;

ა.ბ) 2024 წლის 10 ივლისის ჩათვლით - სრული საპრივატიზებო თანხის გადახდა.

2. შევიდეს ცვლილება ბრძანებით დამტკიცებულ განცხადებაში (დანართი) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი:ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა N2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ)კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
ელექტრონულად